ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## ფარმაციის საბაკალავრო პროგრამა

## სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 03.07.2020

დასკვნის წარდგენის თარიღი: 10.07.2020

თბილისი
2020

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 205224700 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ფარმაცია |
| განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | ფარმაციის ბაკალავრი 0916 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული [სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს № 732 გადაწყვეტილება, 28.11.2012.,ოქმი N18.] |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ლაშა ბაკურიძე, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | დარეჯან ღუღუნიშვილი-სონღულაშვილი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნათია კვიჟინაძე, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თამარ ხატისაშვილი, სსიპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი, დარგის განვითარების თანამედროვე მოთხოვნების და ღირებულებების შესაბამისი, უწყვეტი პროფესიული ზრდის უნარის მქონე ფარმაციის ბაკალავრები

საბაკალავრო პროგრამის განხორციელების შედეგად დაგეგმილია ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე ფარმაცევტის მომზადება, რომელსაც ექნება საბაზისო ცოდნა ქიმიის, ბიოლოგიის, სამედიცინო და ფარმაცევტული მეცნიერებების დისციპლინებში. აგრეთვე ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზების, ფუნქციების მართვის, საბაზრო ეკონომიკის პრინციპების საფუძვლების ცოდნა. აღნიშნული ცოდნის საფუძველზე ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე ფარმაცევტი კომპეტენციის ფარგლებში შეძლებს: ფარმაკოგნოსტური, ფარმაცევტული და ტოქსიკოლოგიური ანალიზის ჩატარებას. სხვადასხვა ჯგუფის ნედლეულის და სამკურნალწამლო საშუალების ხარისხის კონტროლს და სტანდარტიზაციას. ფარმაცევტული პროდუქციის წარმოებას და აპარატურა-დანადგარების უსაფრთხო ექსპლუატაციას. ფარმაცევტული ზრუნვის განხორციელებას - მოსახლეობის უზრუნველყოფას უსაფრთხო, ეფექტიანი, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამკურნალო საშუალებებით. ფარმაცევტული დაწესებულებების სტრუქტურული ერთეულების მართვაში ჩართვას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შედგა 2020 წლის 3 ივლისს და შეხვედრები განხორციელდა: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ ლექტორებთან, განხორციელდა საუნივერსიტეტო შენობისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება, აგრეთვე ვიზიტი განხორციელდა ფარმაციის პროგრამის სააფთიაქო პრაქტიკის განმახორციელებელ ბაზებში: შპს „აფთიაქი კრწანისი“ და შპს აფთიაქი #34, ამასთან, შეხვედრები გაიმართა სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

ვიზიტამდე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია. ვიზიტის დროს დამატებით მოთხოვნილი და უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი იყო: 1. შპს „აფთიაქი კრწანისი“ პრაქტიკის ხელშეკრულება, 2. კურსდამთავრებულთა საბაკალავრო ნაშრომები.

შეხვედრის ფარგლებში განხილული იქნა საბაკალავრო პროგრამის მიზნები და შედეგები და მათი განხორციელების გზები, სწავლის შედეგები, ზოგადი და პროფილური საგნების თანაფარდობა, კრედიტების განაწილების საფუძვლები და შეფასების კრიტერიუმები, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის განხორციელების გზები, სწავლების რესურსებით უზრუნველყოფის შესაძლებლობები და განვითარების პერსპექტივები, სწავლის ხარისხის და შედეგების კონტროლის მექანიზმები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შესწავლა მოხდა აკრედიტაციის 5 ძირითადი სტანდარტის მიხედვით, რომლებიც შემუშავებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.

1. **საგანანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი ნათლად არის ჩამოყალიბებული, ხოლო შედეგები ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნებზე. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლების მეთოდები და მრავალკომპონენტიანი შეფასების სისტემა შესაბამისობაშია ერთმანეთთან. პროგრამის შედეგების გაუმჯობესების მიზნით სასურველია გაგრძელდეს მუშაობა ინტერნაციონალიზაციის კუთხით.

2. **სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**

პროგრამაზე მიღება ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას. პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტებზე დაშვების წინაპირობა ლოგიკურია. მრავალკომპონენტიანი შეფასების სისტემა კი იძლევა სტუდენტის ცოდნის ობიექტური შეფასების შესაძლებლობას. აღსანიშნავია რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობა არ არის საკმარისი და უნივერსიტეტმა უნდა განაგრძოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრის მოძიება.

3. **სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**

პროგრამის ფარგლებში სტუდენტები იძენენ როგორც თეორიულ ცოდნას, აგრეთვე პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. მათ განკარგულებაში არის შესაბამისად აღჭურვილი ლაბორატორიები, სადაც უტარდებათ ჯგუფური და ინდივიდუალური პრაქტიკული მეცადინეობები, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მატერიალური ბაზის შევსებაზე მუშაობა უნდა გაგრძელდეს. სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია სასწავლო პროცესის შესახებ, დასაქმების შესაძლებლობებთან და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. მათ შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა ადგილობრივ სამეცნიერო პროექტებში, ღონისძიებებსა და კონფერენციებში, მაგრამ ფარმაციის პროგრამის სტუდენტების ჩართულობა საერთაშორისო ღონისძიებებსა და გაცვლით პროგრამებში ფაქტიურად მინიმალურია.

4. **სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**

უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურას. ლაბორატორიები აღჭურვილია შესაბამისი დანადგარებით და სახარჯი მასალით, ამასთანავე უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა გამოთქვამს მზაობას, რომ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსება კვლავაც გაგრძელდება. ბიბლიოთეკაში არის ყველა ლიტერატურა, რაც აღნიშნულია სილაბუსებში და ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისათვის. რაც შეეხება ბიუჯეტს, მხოლოდ ხარჯვით ნაწილს ასახავს და არ არის მოცემული პროგრამის შემოსავლები.

5. **სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**

უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა. ყოველ სემესტრში ხორციელდება სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა, ტარდება გამოკითხვები, მათ შორის დამსაქმებლების ინტერვიუირება.აღნიშნული კითხვარების შედეგად განხორციელდა ცვლილებები პროგრამაში.

- რეკომენდაციები
  - რეკომენდებულია სწავლის შედეგების მისაღწევად გაიზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა
  - რეკომენდებულია გაგრძელდეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსება
  - რეკომენდებულია პრაქტიკის ბაზებთან ხელშეკრულებების გაფორმება
  - რეკომენდებულია საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტის სრულყოფა და შესაძლო რისკების განსაზღვრა
  - რეკომენდებულია პროფესიული პრაქტიკის მოცულობის გაზრდა
  - რეკომენდებულია გაგრძელდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციაზე მუშაობა

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

  - სასურველია გაგრძელდეს მონიტორინგი სტუდენტთა მოსწრების და მიღწეული შედეგების მიმართულებით და დადგინდეს განვლილ წლებში დაბალი მოსწრების მიზეზები
  - სასურველია გაგრძელდეს მუშაობა მრავალფეროვანი დასაქმების წყაროების მოძიების მიმართულებით
  - სასურველია შემცირდეს სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურის რაოდენობა
  - სასურველია გაიზარდოს ფარმაციის პროგრამის ფარგლებში სტუდენტთა ჩართულობა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში
  - სასურველია უცხო ენის ცოდნის დონის ამაღლება
  - სასურველია არჩევითი დისციპლინის დამატება პროგრამაში უცხოელი პროფესორის ჩართულობით.
  - სასურველია ზოგიერთ სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის განახლება (მაგ: მარკეტინგი, მენეჯმენტი, ფარმ საქმის ორგანიზაცია)
  - სასურველია სტუდენტური კონფერენციების რაოდენობის გაზრდა;
  - სასურველია გაიზარდოს სტუდენტთა მონაწილეობა საერთაშორისო ღონისძიებებსა და გაცვლით პროგრამებში

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

  - გაუმჯობესებულია საგანთა თანმიმდევრულობა და კრედიტების თანაფარდობა პროფილურ და ზოგად საგნებთან მიმართებაში

- გაუმჯობესებულია შეფასების სისტემა და ნათლად არის გაწერილი სილაბუსებში შეფასების კომპონენტები
- განახლებულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ლაბორატორიული აღჭურვილობა

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი, დარგის განვითარების თანამედროვე მოთხოვნების და ღირებულებების შესაბამისი, უწყვეტი პროფესიული ზრდის უნარის მქონე ფარმაციის ბაკალავრები.<br>საბაკალავრო პროგრამის მიზანი ჩამოყალიბებულია და შედეგად დაგეგმილია ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე ფარმაცევტის მომზადება, რომელსაც ექნება საბაზისო ცოდნა ქიმიის, ბიოლოგიის, სამედიცინო და ფარმაცევტული მეცნიერებების დისციპლინებში. აგრეთვე ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზების, ფუნქციების მართვის, საბაზრო ეკონომიკის პრინციპების საფუძვლების ცოდნა. აღნიშნული ცოდნის საფუძველზე ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე ფარმაცევტი კომპეტენციის ფარგლებში შეძლებს: ფარმაკოგნოსტური, ფარმაცევტული და ტოქსიკოლოგიური ანალიზის ჩატარებას. სხვადასხვა ჯგუფის ნედლეულის და სამკურნალწამლო საშუალების ხარისხის კონტროლს და სტანდარტიზაციას. ფარმაცევტული პროდუქციის წარმოებას და აპარატურა-დანადგარების უსაფრთხო ექსპლუატაციას. ფარმაცევტული ზრუნვის განხორციელებას - მოსახლეობის უზრუნველყოფას უსაფრთხო, ეფექტიანი, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამკურნალო საშუალებებით. ფარმაცევტული დაწესებულებების სტრუქტურული ერთეულების მართვაში ჩართვას.<br>პროგრამის მიზნები ნათლად არის განმარტებული და ორიენტირებულია ფარმაცევტული შრომითი ბაზრის მოთხოვნებზე, ამასთანავე ითვალისწინებს თანამედროვე მედიცინასა და ფარმაციაში არსებულ გამოწვევებს. პროგრამის შენაარსის გათვალისწინებით აღნიშნული მიზნები მიღწევადია. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>▪ საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები<br>▪ სსუ-ს მისია;<br>▪ სსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა;<br>▪ სსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტის დებულება;<br>▪ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი. |

- უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია.
- სსუ-ს ვებ-გვერდი
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ფარმაციის საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი შედგენილია ლოგიკურად დალაგებული სასწავლო კურსებისაგან, რომელთა შესწავლა განაპირობებს განსაზღვრული კომპეტენციების გამომუშავებასა და კვალიფიკაციის მიღებას.

| |
|---|
| წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული კომპლექსური სწავლება მიზანმიმართულია და უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის ჩარჩოთი განსაზღვრული კომპეტენციებისა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისად ფარმაციის სფეროს საქმიანობისათვის საჭირო კომპეტენციების მიღწევას.<br>პროგრამა აგებულია სასწავლო კურსებისაგან, ევროპული კრედიტ - სატრანსფერო სისტემის შესაბამისად. პროგრამის ხანგრძლივობა 4 წელი (8 სემესტრი) და მოიცავს 240 კრედიტს, რომელიც შედგება სავალდებულო და არჩევითი საგნებისგან.<br>წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო აკადემიური, მოწვეული პერსონალი და დამსაქმებლები. აგრეთვე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ტარდება გამოკითხვები პროგრამის შეფასების და შედეგების განსაზღვრის მიზნით. ინტერვიუების შედეგად მტკიცდება, რომ აღნიშნული კითხვარების საფუძველზე განხორციელდა ცვლილებები შეფასების სისტემებში და კრედიტების თანაფარდობაში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;<br>○ პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;<br>○ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;<br>○ პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;<br>○ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი<br>○ კურსდამთავრებულთა უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი;<br>○ გამოკითხვის შედეგები;<br>○ ვებგვერდი: www.sou.edu.ge<br>○ ინტერვიუს შედეგები |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |

| შეფასება |
| --- |
| ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
| --- | --- | --- | --- | --- |
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
| --- |
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები გამჭვირვალეა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას; კერძოდ, სრული ზოგადი განათლების ატესტატი, საქართველოს მოქალაქეებისათვის – ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების დამადასტურებელი სერთიფიკატი. |

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას; პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მოიცავს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებულ შედეგებს, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი საგნების, პრიორიტეტებისა და მათი შესაბამისი კოეფიციენტების გათვალისწინებით. ფარმაციის საბაკალავრო პროგრამაზე სავალდებულო საგნებად კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულია: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული), ბიოლოგია. დამატებით მეოთხე საგნად განსაზღვრულია ქიმია, მათემატიკა ან ფიზიკა.· ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლება აქვთ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

მიღებასთან დაკავშირებული სხვა რელევანტური ინფორმაცია ყოველწლიურად თავსდება შეფასებებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე, ცნობარში და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: www.sou.edu.ge.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
- ვებგვერდი www.naec.ge;
- სსუ-ს ვებგვერდი www. sou.edu.ge

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

| |
|---|
| ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს სასწავლო პროგრამის კომპონენტების ერთობლიობას, რომლის მიზანია კურსდამთავრებულისათვის დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების გამომუშავება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის და დარგობრივი მახასიათებლის დონის შესაბამისად. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს; მოსალოდნელი შედეგები და კომპეტენციები პროგრამაში აღწერილია მისაღწევი დარგობრივი და ზოგადი/ტრანსფერული კომპეტენციებით, რომლებიც წარმოადგენენ ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობის ერთობლიობას.<br>საგანმანათლებლო პროგრამის ზოგად და დარგობრივ შედეგებს განსაზღვრავს ცალკეული სასწავლო კურსის სილაბუსებში ასახული სწავლის შედეგების ერთობლიობა. პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კურსი არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული; გათვალისწინებულია შემდგომ სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები, რომელიც არის ადეკვატური და მოცემულია სილაბუსებში. პროგრამაში მოცემულია სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდები და შეფასების შესაბამისი მეთოდოლოგია. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას; პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. პროგრამაში გათვალისწინებულია 240 ECTS კრედიტის შესრულება, რომელიც მოიცავს: · 65 კრედიტი - საბაზისო, ქიმიის, ბიოლოგიის და სამედიცინო დისციპლინები; · 18 კრედიტი – უცხოური ენები; · 111 კრედიტი – პროფესიული დისციპლინები; · 22 კრედიტი – პროფესიული პრაქტიკა; · 15 კრედიტი - არჩევითი სასწავლო კურსები; · 9 კრედიტი - თავისუფალი კომპონენტები. სასწავლო კურსები დალაგებულია ლოგიკურად, დაცულია წინაპირობები და მემკვიდრე დისციპლინების სწავლების თანამიმდევრობა. პროგრამიის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს სტუდენტის ცოდნისა და უნარების განვითარებას, კომპეტენციის ფარგლებში შემდეგი საქმიანობის: ნედლეულის, სუბსტანციის, სამკურნალო საშუალებების დამზადების, სერიული წარმოების, ფარმაცევტული ანალიზის განხორციელების, კეთილხარისხოვნების დადგენის, რაციონალური ფარმაკოთერაპიის, ფარმაცევტული ზრუნვისა და ფარმაცევტული დაწესებულებების სტრუქტურული ერთეულების მართვის პროცესში ჩართვის განხორციელების მიმართულებით. საგანმანათლებლო პროგრამა |

წარმოადგენს სხვადასხვა სასწავლო კომპონენტის ერთობლიობას, რომელიც განსაზღვრავს შესაბამისი აკადემიური ხარისხის მოპოვების პირობებს; პროგრამით მიღებული კომპეტენციები აუცილებელი პირობაა შემდგომ საფეხურზე სწავლის და/ან მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის; ფარმაციის საბაკალავრო პროგრამა აკრედიტებულია 2012 წლიდან.

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც პასუხისმგებელია პროგრამის შემუშავებაზე, განვითარებაზე და პროგრამის ყველა კომპონენტის ეფექტური მიმდინარეობის უზრუნველყოფაზე. პროგრამის ხელმძღვანელი განმახორციელებელ პერსონალთან ერთად მუდმივად მსჯელობს პროგრამისა და კურიკულუმის განვითარებაზე, სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ახალი სასწავლო კურსების დანერგვაზე დარგის თანამედროვე და საერთაშორისო მოთხოვნების გათვალისწინებით. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაში, ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალთან ერთად, მონაწილეობენ დამსაქმებლები, სტუდენტები, ადმინისტრაცია, კურსდამთავრებულები. მათმა შენიშვნებმა და რეკომენდაციებმა, ახალმა გამოწვევებმა ფარმაციაში განაპირობა ცვლილებები პროგრამაში, ახალი დისციპლინების შემოტანა სწავლებაში, ძირითადი და არჩევითი სასწავლო კურსების დამატება - ძირითადი: „ფარმაციის ისტორია“, „ფარმაცევტული ზრუნვა“, „ფარმაკოთერაპია“, „ჰისტოლოგიის საფუძვლები“, „ფარმაცევტული საქმის ორგანიზაცია და ეკონომიკა“, „ფარმაცევტული ეთიკა“, „კომუნიკაციური უნარ-ჩვევები“, „პირველადი სამედიცინო დახმარება“, დაემატა ახალი პრაქტიკა - „ფარმაცევტული დახმარება“. არჩევითი: „ფარმაკოეკონომიკის საფუძვლები“, „ფარმაცევტული ანალიზი“, „კომპიუტერული ქიმიური პროგრამები“, „სტატისტიკა“, „შესავალი ფსიქოლოგიაში“. ზოგიერთი სასწავლო კურსი ძირითადიდან გადმოვიდა არჩევითში/ან პირიქით და/ან ზოგიერთმა შეიცვალა კრედიტები და/ან სახელწოდება: მოხდა სახელწოდების მოდიფიცირება: „ანალიზური ქიმია“ – სახელწოდებით „ანალიზური ქიმია და ანალიზის ინსტრუმენტული მეთოდები“, „ფარმაცევტული საქონელმცოდნეობა“ – სახელწოდებით „ფარმაცევტული და სამედიცინო პროდუქციის ესპერტიზა“, „მცენარეთა ანატომია, მორფოლოგია, ფიზიოლოგია“ - სახელწოდებით „ფარმაცევტული ბოტანიკა 1 (მცენარეთა ანატომია, მორფოლოგია, ფიზიოლოგია)“; „მცენარეთა სისტემატიკა - სახელწოდებით „ფარმაცევტული ბოტანიკა 2 (მცენარეთა სისტემატიკა)“; „წამალთა ტექნოლოგია 1“ - სახელწოდებით „გალენური პრეპარატების ტექნოლოგია“; „წამალთა ტექნოლოგია 2“ - სახელწოდებით „მზა წამალთ ფორმების ტექნოლოგია“; სასწავლო პრაქტიკა „წამალთა ტექნოლოგიაში“ - სახელწოდებით „პრაქტიკა - ფარმაცევტული ტექნოლოგია 1“; „საწარმოო პრაქტიკა“ სახელწოდებით „პრაქტიკა ფარმაცევტული ტექნოლოგია 2“; ფარმაკოგნოზიის სასწავლო კურსები დაიყო „ფარმაკოგნოზია 1“ და „ფარმაკოგნოზია 2“ და გამოეყო ცალკე „პრაქტიკა - ფარმაკოგნოსტური ანალიზი“; არჩევითიდან ძირითადში გადმოტანილი იქნა: ფარმაცევტული მენეჯმენტი და ფარმაცევტული მარკეტინგი სახელწოდებით - „ფარმაციის მენეჯმენტისა და მარკეტინგის საფუძვლები“, „ფარმაცევტული ინფორმაცია“, „კოსმეტიკური და პარფიუმერულ საშუალებათა ტექნოლოგია“; „პარაზიტოლოგია“. ძირითადიდან არჩევითში იქნა გადმოტანილი „ლათინური ენა“ განხორციელებული ცვლილებები, როგორც წესი, დადებითად აისახება სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებაზე და მათი კმაყოფილების ხარისხზე. საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტზე, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის განვითარებას, კოორდინაციას უწევს პროგრამის და კურიკულუმის შემუშავების პროცესის საჯაროობასა და გამჭვირვალობას. პროგრამის დაგეგმვა/შექმნა/ცვლილების განხორციელებაში პოტენციურ დამსაქმებელთა ჩართულობა უზრუნველყოფილია, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებას საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების და შემდგომი განვითარების პროცესში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- თვითშეფასების დოკუმენტი
- სსუ-ს ვებგვერდი: [www.sou.edu.ge](http://www.sou.edu.ge)
- გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- უცხო ენის ცოდნის დონის ამაღლება
- არჩევითი დისციპლინის დამატება პროგრამაში უცხოელი პროფესორის ჩართულობით.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;

- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლების მეთოდები და კრედიტების მოცულობა უზრუნველყოფს პროგრამის მიზნისა და სწავლის შედეგების მიღწევას. თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს; სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა კურსის სპეციფიკიდან გამომდინარეობს. ითვალისწინებს სწავლა-სწავლების შესაბამის მეთოდებს (ლექცია, პრაქტიკუმი, სემინარი, ლაბორატორიული სამუშაო და სხვა), რომელიც შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით, რომლებიც განსხვავებულია სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე და აღწერილია სილაბუსში.

სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ ტარდება სტუდენტების გამოკითხვა, კონფიდენციალობის დაცვით, სადაც ისინი გამოხატავენ აღნიშნული სასწავლო კურსის სწავლებასთან დაკავშირებით საკუთარ დამოკიდებულებას. ასეთი გამოკითხვები ჩატარდა 2019 წლის გაზაფხულის სემესტრის ბოლოს. დაფიქსირდა შედეგების გაუმჯობესების ტენდენცია. გათვალისწინებულ იქნა სტუდენტთა მოსაზრებები. აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა იმსჯელა აღნიშნულ საკითხებზე და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებები. პროგრამის ცალკეული ერთეულის სწავლის შედეგი მიმართულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებისკენ. პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კომპონენტი სწავლების შესაბამისი ეტაპის ადეკვატურია და ეფუძნება სტუდენტის მიერ უკვე მიღებულ ცოდნას და უნარებს, ხოლო თავად წარმოადგენს წინაპირობას მემკვიდრე კომპონენტის/კურსის ათვისებისათვის.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს. პროგრამის ხელმძღვანელი და შესაბამისი სასწავლო კურსების განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი უზრუნველყოფს სტუდენტებს შესაბამისი სასწავლო ლიტერატურით ქართულ ენაზე, ასევე, დამატებითი ლიტერატურით, როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენაზე. სასწავლო ლიტერატურა განთავსებულია სსუ-ის ბიბლიოთეკაში. საბიბლიოთეკო ფონდი მოიცავს საჭირო ბეჭდურ და ელექტრონულ სახელმძღვანელოებს; ელექტრონული სალექციო მასალით სტუდენტებს უზრუნველყოფს შესაბამისი სასწავლო კურსის ან/და პროგრამის ხელმძღვანელი. სსუ-ის ბიბლიოთეკა ჩართულია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- სსუ ელექტრონული ბიბლიოთეკა.
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

| |
|---|
| წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>- სასურველია სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალი შემცირდეს.<br>- სასურველია ზოგიერთ სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის განახლება (მაგ: მარკეტინგი, მენეჯმენტი, ფარმ საქმის ორგანიზაცია) |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება** |
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ფარმაციის საბაკალავრო პროგრამა, სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას და/ან მათ სამეცნიერო/კვლევით პროექტებში ჩართვას, რაც შეესაბამება სწავლების პირველ საფეხურს. თითოეული პროფილური დისციპლინის სწავლება თეორიულ საკითხებთან ერთად ითვალისწინებს პრაქტიკული ან ლაბორატორიული სამუშაოს შესრულებას: საშინაო დავალების განხილვისა და არგუმენტირებული მსჯელობის შემდეგ, თითოეულ სტუდენტს ან სტუდენტთა პატარა ჯგუფს (2-3 სტუდენტი) ეძლევა საანალიზო ობიექტი და მეთოდური |

მითითება, ან სხვა ტიპის დავალება, რომელსაც შეასრულებს პრაქტიკული მეცადინეობის პერიოდში. შემდეგ აკეთებს ჩანაწერს და დასკვნას შესრულებული სამუშაოს მიხედვით. მსგავსი ტიპის საქმიანობა ხელს უწყობს პრაქტიკული უნარების განვითარებას. პროგრამის განხორციელების პროცესში შეთავაზებული პროფესიული პრაქტიკები (22 კრედიტი), რომლის მიზანია საუნივერსიტეტო განათლების თეორიული ცოდნის ტრანსფერის საფუძველზე, ხელი შეუწყოს სტუდენტებს განივითარონ აუცილებელი პრაქტიკული უნარები. ხორციელდება სსუ-ის ლაბორატორიებში, ფარმაცევტული კომპანიების: „ავერსი-ფარმა“, „პსპ-აფთიაქი“, „გეფა“, „ნეოფარმი“, შპს „აფთიაქი #34“, შპს „აფთიაქი კრწანისი“, კომპანია „ჯი პი აი ჰოლდინგი“ ბაზებზე მათთან გაფორმებული მემორანდუმის და შეთანხმების საფუძველზე. დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმი/შეთანხმება ითვალისწინებს სტუდენტების რაოდენობას, ასევე პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას.

პროფესიული პრაქტიკის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს კომპეტენციის ფარგლებში: · ნედლეულის, სუბსტანციისა და სამკურნალო საშუალებების დამზადებას და სერიულ წარმოებას; · ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად ტექნოლოგიური პროცესების ჩატარებას და აპარატურა-დანადგარების უსაფრთხო ექსპლოატაციას; · სამკურნალო ნედლეულის, ძირითადი და დამხმარე მასალების, მზა წამალთ ფორმების შენახვის პირობების უზრუნველყოფას და დაცვას; · სახელმწიფო სტანდარტების და ნორმატულ-ტექნიკური დოკუმენტაციის გამოყენებას; სამკურნალო საშუალებათა სტაბილურობის განსაზღვრასა და ვარგისობის დადგენას;· ნედლეულის, სუბსტანციისა და სამკურნალო საშუალებების ხარისხის კონტროლს და სტანდარტიზაციას; ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზის ჩატარებას; რაციონალური ფარმაკოთერაპიის განხორციელებას; · ფარმაცევტული დაწესებულებების სტრუქტურული ერთეულის მართვაში ჩართვას. ჩამოუყალიბდება კრიტიკული ანალიზისა და სინთეზის უნარი, ინფორმაციის მართვისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი, ინტერპერსონალური კომუნიკაციის უნარი; მომხმარებელთა უფლებების ხელშეწყობისა და უსაფრთხოების დაცვის უნარი, გუნდური მუშაობის უნარი; უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და სრულყოფისადმი სწრაფვის უნარი.

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და გაწერილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად და უზრუნველყოფს სტუდენტის მომზადებას პრაქტიკული საქმიანობის დასაწყებად. სსუ-ს შემუშავებული აქვს პრაქტიკის შეფასებისა და გაფორმების ინსტრუქცია. პროფესიული პრაქტიკის გავლის პერიოდში, სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს აკადემიური პერსონალი ან მოწვეული მასწავლებელი, რომელიც არის დარგის კვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას. უნივერსიტეტის ეგიდით ყოველწლიურად ტარდება სტუდენტური კონფერენციები. პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის ადმინისტრაცია ხელს უწყობს ზამთრის და ზაფხულის არდადეგების დროს ანაზღაურებადი სტაჟირების განხორციელებას ფარმაცევტულ კომპანიებში, ორგანიზებას უკეთებს მათი წარმომადგენლების შეხვედრას ფაკულტეტის სტუდენტებთან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამა და სილაბუსები;
- შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია პროფესიული პრაქტიკის მოცულობის გაზრდა

- რეკომენდებულია ხელშეკრულებების გაფორმება პრაქტიკის ბაზებთან
- რეკომენდებულია გაგრძელდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციაზე მუშაობა

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სტუდენტური კონფერენციების რაოდენობის გაზრდა;
- სტუდენტების ჩართულობის მაჩვენებლის გაზრდა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

